საქართველოს მთავრობის

დადგენილება №65

2021 წლის 17 თებერვალი

ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-11 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საკარანტინე სივრცეებში შესაბამისი პირების გადაყვანას, კომპეტენციების შესაბამისად, ახორციელებენ სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი და სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის თანხლებით). სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი პირების გადაყვანას ახორციელებს მხოლოდ აჭარის რეგიონის მასშტაბით, ხოლო დანარჩენი საქართველოს მასშტაბით პირების გადაყვანა ხორციელდება სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ.“.

მუხლი 2

1. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. დადგენილება გავრცელდეს 2021 წლის 8 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**